2018 წლის იანვარი
მოცემული საინფორმაციო ბიულეტენი არ აკისრებს რაიმე ვალდებულებას სასამართლოს და არ არის ამომწურავი

ოჯახში ძალადობა

"... ოჯახში ძალადობის საკითხი, რომელსაც სხვადასხვა ფორმის მიღება შეუძლია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობით დაწყებული და სიტყვიერი ძალადობით დამთავრებული ... ზოგად პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ყველა წევრ-სახელმწიფოს ეხება და ეს პრობლემა არ არის ყოველთვის ზედაპირზე, რადგან იგი ხშირად პირადი ურთიერთობების ფარგლებში, ან დახურულ სივრცეში ხდება, და ოჯახში ძალადობის შედეგად არა მხოლოდ ქალები ზარალდებიან. [ადამიანის უფლებების] [ევროპული] სასამართლო აღიარებს, რომ მამაკაცებიც და ასევე ბავშვები შეიძლება იყვნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი პირდაპირ თუ ირიბად, და ხშირად ისინი ძალადობის მსხვერპლს წარმოადგენენ ..." *Opuz v. Turkey*, § 132, 9 ივნისის გადაწყვეტილება).
..."

სიცოცხლის უფლება (ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი)

Kontrovà v. Slovakia

2007 წლის 31 მაისი

2002 წლის 2 ნოემბერს განმცხადებელმა შეიტანა სისხლის სამართლის სარჩელი მისი მეუღლის წინააღდეგ მასზე თავდასხმისა და ელექტროკაბელით ცემის გამო. მოგვიანებით, მეუღლის თანხლებით, მან სცადა მისი სისხლის სამართლის სარჩელის უკან გაწვევა. მან შესაბამისად შეცვალა სარჩელი, რათა მისი მეუღლის სავარაუდო ქცევა განხილულიყო როგორც წვრილმანი სამართალდარღვევა, რომელიც არ მოითხოვდა შემდგომი ქმედებების განხორციელებას. 2002 წლის 31 დეკემბერს მისმა მეუღლემ ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრა მათი ქალიშვილი და ვაჟიშვილი, 1997 და 2002 წლებში დაბადებულები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამრთლოს წინაშე განმცხადებელმა დაადანაშაულა პოლიცია იმაში, რომ მათთვის ცნობილი მეუღლის ძალადობრივი და სახიფათო საქციელის მიუხედავად, მათ ვერ მოახერხეს სათანადო ქმედებების ჩატარება მისი შვილების სიცოცხლის დასაცავად. გარდა ამისა, განმცხადებელი ასევე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მისთვის შეუძლებელი გახდა კომპენსაციის მიღება.

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის **მე-2 მუხლის დარღვევა** (სიცოცხლის უფლების), უფლებამოსილი ორგანოს მიერ მოვალეობების შეუსრულებლობის გამო განმცხადებლის შვილების სიცოცხლის დაცვასთან დაკავშირებით. მან დაასკვნა, რომ განმცხადებლის ოჯახური მდგომარეობა ცნობილი იყო ადგილობრივი პოლიციისთვის 2002 წლის ნოემბრის სისხლის სამართლის სარჩელისა და 2002 წლის დეკემბრის დახმარების ხაზზე საგანგებო სატელეფონო შეტყობინებების საფუძველზე. შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით პოლიცია ვალდებული იყო შემდეგი რეაგირება მოეხდინა: დაერეგისტრირებინა განმცხადებლის სისხლის სამართლის სარჩელი; დაუყოვნებლივ წამოეწყო სისხლის სამართლის გამოძიება, და სისხლის სამართლის საპროცესო ქმედება განმცხადებლის მეუღლის წინააღმდეგ; სათანადოდ მოეხდინა საგანგებო ზარების დოკუმენტირება, და შეეტყობინებინა ამის თაობაზე შემდეგ ცვლაში მომუშავე თანამშრომლებისთვის; შესაბამისი ზომები გაეტარებინა იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მომჩივანის მეუღლე ფლობდა

ცეცხლსასროლ იარაღს და მისი გამოყენებით ემუქრებოდა. თუმცა, ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა ხელი შეუწყო განმცხადებლისა და მის მეუღლის მიერ 2002 წლის ნოემბრის სისხლის სამართლის საჩივრის გადასინჯვაში, ისე რომ ეს განხილულიყო როგორც წვრილმანი სამართალდარღვევა, რომელიც არანაირ შემდგომ რეაგირებას არ მოითხოვდა. დაბოლოს, როგორც საოჯახო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ დაადგინა, და სლოვაკეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ პოლიციამ ვერ მოახერხა თავისი მოვალეობების შესრულება და ამის უშუალო შედეგი გახდა განმცხადებლის შვილების გარდაცვალება. გარდა ამისა, სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის **მე-13 მუხლის დარღვევა** (ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის უფლება), ვინაიდან განმცხადებელს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა მიემართა არა-ფულადი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა სამართლებრივი დაცვის მსგავსი საშუალება მისთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა.

Branko **Tomašić** and Others v. Croatia

2009 წლის 15 იანვარი

განმცხადებლები ჩვილი ბავშვის და მისი დედის ნათესავები იყვნენ. დედა-შვილის მეუღლემ/მამამ მათი მკვლელობა ჩაიდინა, და შემდეგ თავი მოიკლა, საპყრობილედან განთავისუფლებიდან ერთი თვის თავზე, სადაც იგი იმყოფებოდა იმის გამო, რომ ამ მკვლელობებით იმუქრებოდა. თავდაპირველი გადაწყვეტილების შესაბამისად, მას იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა უნდა გაევლო საპყრობილეში ყოფნის და განთავისუფლების შემდგომ პერიოდებში, თუ ეს საჭირო იქნებოდა, თუმცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, განთავისუფლებისთანავე მას უნდა შეეწყვიტა მკურნალობა. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ხორვატიის სახელმწიფომ ვერ მოახერხა ადექვატური ზომების მიღება ბავშვის და მისი დედის დასაცავად, და არ განახორციელა ეფექტური გამოძიება მათ სიკვდილზე სახელმწიფოს შესაძლო პასუხისმგებლობის საგანზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის **მე-2 მუხლის (უფლება სიცოცხლეზე) დარღვევა,** ხორვატიის ხელისუფლების მხრიდან სათანადო ზომების გაუტარებლობის გამო ბავშვის და მისი დედის სიცოცხლის დაცვის მიზნით. სასამართლომ დაადგინა, რომ საოჯახო საქმეთა განმხილველი სასამართლოს შესაბამისად, და ფსიქიატრიული გამოკვლევის დასკვნის შედეგებზე დაყრდნობით, უდაოა, რომ ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო, რომ მუქარა დედის და ბავშვის სიცოცხლის მიმართ სერიოზული იყო, და მათ ყველა გონივრული ქმედება უნდა განაეხორციელებინათ მათ დასაცავად. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა რამდენიმე ხარვეზი ხელისუფლების მოქმედებებში: მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიატრიულ ანგარიშში, რომელიც მომზადდა სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, ყურადღება გაამახვილა მეუღლის უწყვეტი ფსიქიატრიულ მკურნალობის აუცილებლობაზე, ხორვატიის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა იმის დამტკიცება, რომ ეს მკურნალობა ნამდვილად და სათანადოდ იქნა ჩატარებული; წარდგენილი დოკუმენტებიდან ნათელი ხდებოდა, რომ მეუღლის საპყრობილეში მკურნალობა გულისხმობდა საპყრობილეს თანამშრომლებთან გასაუბრებას, და აღსანიშნავია, რომ არცერთი მათგანი არ ყოფილა ფსიქიატრი; არც შესაბამის რეგულაციები, და არც სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლითაც მას იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა დაეკისრა, არ შეიცავდნენ საკმარის დეტალებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაეწიათ ეს მკურნალობა; დაბოლოს, მეუღლე არ ყოფილა გამოკვლეული საპყრობილედან განთავისუფლებამდე, რათა შეეფასებინათ, თუ რა რისკს წარმოადგენდა იგი დედა-შვილისათვის. ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ადეკვატური ზომების მიღება მათი სიცოცხლის დასაცავად.

Opuz v. Turkey

9 June 2009

იხილეთ ქვევით, „დისკრიმინაციის აკრძალვის“ ნაწილში.

Durmaz v. Turkey

2014 წლის 13 ნოემბერი

განმცხადებლის ქალიშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც მისმა მეუღლემ იგი გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მიიყვანა. მეუღლის ინფორმაციით, გარდაცვლილს

ჭარბი დოზით მედიკამენტები ჰქონდა მიღებული. გამოძიების დროს მან პოლიციასთან განაცხადა, რომ აღნიშნულ დღეს წყვილს კამათი მოუვიდა, რის შედეგადაც მან მეუღლეს დაარტყა. შედეგად, გარდაცვლილის მამამ პროკურორთან საჩივარი შეიტანა იმის მტკიცებით, რომ მის ქალიშვილს არ ჩაუდენია თვითმკვლელობა და მის გარდაცვალებაში მეუღლე დაადანაშაულა. პროკურატურის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ დაასკვნა, რომ გარდაცვლილმა თვითმკვლელობა ჩაიდინა. ეროვნულმა სასამართლომ უარყო განმცხადებლის პრეტენზია. ეროვნული სასამართლოს წინაშე მომჩივანი ჩიოდა, რომ მისი ქალიშვილის გარდაცვალებაზე გამოძიება არაეფექტური გამოდგა.

სასამართლომ პროცესუალურ ასპექტში კონვენციის **მე-2 მუხლის დარღვევა** (სიცოცხლის უფლება) დაადგინა, თურქეთის ხელისუფლების მხრიდან ეფექტური გამოძიების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად, რამაც მომჩივანის ქალიშვილის გარდაცვალება გამოიწვია. *Opuz*-ის საქმის მსგავსად (იხ. ზემოთ), მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ ოჯახში ძალადობა ძირითადად ქალბატონებზე ახდენდა ზეგავლენას, და თურქეთის სასამართლოს ზოგადი და მიკერძოებული პასიურობა ოჯახში ძალადობისთვის ხელისშემწყობ გარემოს ქმნიდა.

Civek v. Turkey

2016 წლის 23 თებერვალი

ეს საქმე უკავშირდება მომჩივანის მამის მიერ დედის მკვლელობას. განმცხადებლები განსაკუთრებით უჩიოდნენ იმ ფაქტს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება დედამისის სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

სასამართლომ კონვენციის **მე-2 მუხლის** (სიცოცხლის უფლება) **დარღვევა** დაადგინა. კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო განმცხადებლების დედის სიცოცხლისთვის რეალური საფრთხის არსებობის შესახებ, და გარდაცვლილის მუდმივი ჩივილის მიუხედავად მუქარასთან და ძალადობასთან დაკავშირებით, მან ვერ მოახერხა გონივრული ზომების მეღება გარდაცვლილის მეუღლის წინააღმდეგ მკვლელობისგან თავის ასაცილებლად.

H"alime **Kılıç** v. Turkey

2016 წლის 28 ივნისი

იხილეთ ქვევით, „დისკრიმინაციის აკრძალვის“ ნაწილში

Talpis v. Italy

2017 წლის 2 მარტი

ეს საქმე უკავშირდება მომჩივანის მიმართ ჩადენილ ოჯახურ ძალადობას, რომელსაც შედეგად მოყვა მისი მკვლელობის მცდელობა და მომჩივანის ვაჟიშვილის მკვლელობა.

სასამართლომ კონვენციის **მე-2 მუხლის დარღვევა** დაადგინა განმცხადებლის ვაჟიშვილის მკვლელობის და მომჩივანის მკვლელობის მცდელობის გამო. მან მიიჩნია, რომ იტალიის ხელისუფლებამ განმცხადებლის მიერ შეტანილ საჩივარზე ვერ მოახდინა დაუყოვნებელი ქმედებების განხორციელება, რითაც გამოიწვია დაუსჯელობის ვითარება და ხელი შეუწყო ძალადობის აქტის გამეორებას, რომელსაც შედეგად მოყვა მომჩივანის მკვლელობის მცდელობა და მისი ვაჟიშვილის მკვლელობა. შედეგად, ხელისუფლებამ ვერ შეძლო მისი მოვალეობების შესრულება შესაბამისი პირების სიცოცხლის დასაცავად. სასამართლომ ასევე კონვენციის **მე-3 მუხლის დარღვევა** დაადგინა (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), ხელისუფლების მიერ მისი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო განმცხადებლის ოჯახში ძალადობისგან დაცვასთან დაკავშირებით. ამ მიმართებაში, სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ განმცხადებელი მის შვილებთან ერთად ძალადობის ისეთ გარემოებაში იმყოფებოდა, რომელიც საკმაოდ სერიოზული იყო ამ მდგომარეობისთვის არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციის მისანიჭებლად და ის მეთოდი, რომელშიც ხელისუფლებამ სისხლის სამართლის პროცესის ქმედებები განახორციელა, სასამართლოს პასიურობაზე მიუთითებდა, რაც მე-3 მუხლთან შეუთავსებელი იყო. დაბოლოს, სასამართლომ **მე-2 და მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა ერთობლიობაში მე-14 მუხლის დარღვევასთან** (დისკრიმინაციის აკრძალვა). მან მიიჩნია, რომ განმცხადებელი, როგორც ქალბატონი, დისკრიმინაციის მსხვერპლი აღმოჩნდა ხელისუფლების უმოქმედობის გამო, რომელმაც სათანადოდ ვერ შეაფასა ძალადობრივი ქმედებები და ამგვარად, მას მნიშვნელოვნად მხარი დაუჭირა.

საჩივარი განხილვის სტადიაში

თხელიძე, საქართველო (no. 33056/17)

საჩივარი ეხება საქართველოს მთავრობას, 2017 წლის 23 ივნისი

მოცემული საქმე ეხება მომჩივანის ქალიშვილს, რომელიც მეუღლემ მოკლა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ხელისუფლებამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალება და არ დაიცვა მომჩივანის ქალიშვილის სიცოცხლე.

სასამართლომ საჩივარის თაობაზე საქართველოს მთავრობას შეტყობინება გაუგზავნა და მხარეებს კითხვები დაუსვა კონვენციის შემდეგ მუხლებთან დაკავშირებით: მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა), და 35-ე (დასაშვებობის კრიტერიუმი).

წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა (კონვენციის მე-3 მუხლი)

ხელისუფლების სავარაუდო დარღვევა ოჯახში ძალადობისგან სათანადო დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო

E.S. and Others v. Slovakia (no. 8227/04)

2009 წლის 15 სექტემბერი

2001 წელს პირველმა მომჩივანმა მეუღლე მიატოვა და მის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა მის და მისი შვილებისადმი (1986, 1988 და 1989 წლებში დაბადებულები) არასათანადო მოპყრობისა და მათი ერთ-ერთ ქალიშვილის მიმართ სექსუალური ძალადობისათვის. ამ შემთხვევამდე ორი წლით დრე, მისი მეუღლე ძალადობისთვის და სექსუალური ძალადობისთვის დამნაშეველ სცნეს. მომჩივანის მოთხოვნა რომ მეუღლეს სახლი დაეტოვებინა, არ იქნა დაკმაყოფილებული, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ მას არ გააჩნდა სათანადო უფლებამოსილება მომჩივანის აეკრძალა საკუთრების წვდომა (მომჩივანს შეეძლო მიეღო მეუღლის საიჯარო საკუთრების დატოვების გადაწყვეტილება მხოლოდ განქორწინების შემთხვევაში). პირველი განმცხადებელი შვილებთან ერთად იძულებული გახადეს ოჯახი და მეგობრები დაეტოვებინათ, ხოლო ორი ბავშვი იძულებული გახდა შეეცვალათ სკოლა. ისინი ჩიოდნენ, რომ ხელისუფლებამ მათი სათანადო დაცვა ვერ შეძლო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.

სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო პირველი მომჩივანისა და მისი შვილებისათვის დაუყოვნებლივი დაცვის უზრუნველყოფა მომჩივანის მეუღლის ძალადობის წინააღმდეგ, კონვენციის მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლების დარღვევის შედეგად. მან დაასკვნა, რომ მოცემული ბრალდებების ბუნება და სიმძიმე, პირველი მომჩივანის და მისი შვილების დაუყოვნებელ დაცვას მოითხოვდა, და არა ერთი-ორი წელიწადის შემდეგ. პირველმა მომჩივანმა განქორწინების პროცესის დასრულებამდე, 2002 წლის მაისამდე, ვერ შეძლო საიჯარო საკუთრების გაყოფის მოთხოვნა. ასევე, მან ვერ შეძლო ორდერის მოთხოვნა 2003 წლის იანვრამდე, კანონის შეცვლამდე, იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ყოფილი მეუღლე არ დაშვებულიყო საოჯახო სახლში. შესაბამისად, მომჩივანი თავის შვილებთან ერთად ეფექტური დაცვის გარეშე იმყოფებოდნენ.

Eremia and Others v. the Republic of Moldova

2013 წლის მაისი

იხილეთ ქვევით, „დისკრიმინაციის აკრძალვის“ ნაწილში.

Rumor v. Italy

2014 წლის 27 მაისი

იხილეთ ქვევით, „დისკრიმინაციის აკრძალვის“ ნაწილში.

M.G. v. Turkey (no. 646/10)

2016 წლის 22 მარტი

იხილეთ ქვევით, „დისკრიმინაციის აკრძალვის“ ნაწილში.

Talpis v. Italy

2017 წლის 2 მარტი

იხილეთ ზევით, „სიცოცხლის უფლების“ ნაწილში.

Bălşan v. Romania

2017 წლის 23 მაისი

იხილეთ ქვევით, „დისკრიმინაციის აკრძალვის“ ნაწილში.

განხილვის ქვეშ

Munteanu v. Republic of Moldova (no. 34168/11)

განცხადება ეხება მოლდოვის სახელმწიფოს, 2012 წლის 3 იანვარი

მომჩივნები არიან დედა და ვაჟიშვილი. პირველი მომჩივანის მეუღლე, სამსახურის დაკარგვის ცოტა ხნის შემდეგ, სასმელს მიეძალა. გარდა ამისა, იგი მომჩივანზე ძალადობდა და ალკოჰოლის შეძენის მიზნით სახლიდან ნივთების გაყიდვა დაიწყო. 2007 წელს მან სასტიკად ცემა პირველი მომჩივანი, რის შედეგადაც, დაზარალებული საავადმყოფოში სამი კვირა იმყოფებოდა. შემდგომ, მან განაგრძო სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის გამოყენება. მეორე მომჩივანსაც რეგულარულად სასტიკად ცემდნენ და ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებდნენ და მას ხშირად უწევდა მეგობრების სახლში მისვლა, რათა სკოლის გაკვეთილები ესწავლა ან უბრალოდ სკანდალებისგან დაესვენა და მამამისის ძალადობისგან საკუთარი თავი აერიდებინა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ხელისუფლებამ პირველი განმცხადებლის მიმართ მისი მეუღლისგან არასათანადო მოპყრობა დაუშვა და დაცვის გაძლიერების შეუსრულებლობით, მხარი დაუჭირა მის დაუსჯელობის გრძნობის გაძლიერებას. დაბოლოს, ისინი ჩიოდნენ ხელისუფლების მხრიდან ქალებზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

სასამართლომ მოლდოვის ხელისუფლებას შეტყობინება გაუგზავნა და მხარეებს კითხვები დაუსვა კონვენციის მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მე-13 (უფლება ქმედით სამართლებრივ მისაგებელზე) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებთან დაკავშირებით.

Udalova v. Russia (no. 20289/10)

სარჩელი ეხება რუსეთის სახელწიფოს, 2016 წლის 3 სექტემბერი

მომჩივანი მტკიცებით, ხელისუფლება ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს და არ იღებს სათანადო ზომებს მომჩივანის ჩივილზე მისი მეუღლის მიერ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით.

სასამართლომ რუსეთის სახელმწიფოს შეტყობინება გაუგზავნა და მხარეებს კითხვები დაუსვა კონვენციის მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), მე-6 (უფლება საქმის სამართლიან განხილვაზე), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 (უფლება ქმედით სამართლებრივ მისაგებელზე) მუხლებთან დაკავშირებით.

ოჯახში ძალადობაზე სავარაუდო არაადექვატური გამოძიების განხორციელება

E.M. v. Romania (n° 43994/05)

2012 წლის 30 ოქტომბერი

მომჩივანი მტკიცებით, არაეფექტური გამოძიება იყო ჩატარებული მის სისხლის სამართლის საჩივარზე ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, რომელიც მისი წლინახევრის ქალიშვილის თანდასწრებით იყო ჩადენილი. რუმინულმა სასამართლომ განმცხადებლის საჩივარზე იმის

საფუძველზე თქვა უარი, რომ მისი მტკიცება მეუღლის ძალადობასთან დაკავშირებით არ ყოფილა დადასტურებული.
სასამართლომ პროცესუალურ ასპექტში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) დაადგინა. ასევე, მან დაადგინა, რომ იმ მეთოდებმა, რომლებიც გამოყენებული იქნა გამოძიების პროცესში, ვერ უზრუნველყო მომჩივანისთვის ეფექტური დაცვის საშუალები, რომელსაც მე-3 მუხლი ითვალისწინებს. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი საჩივრის შეტანის დროს მომჩივანმა ხელისუფლებას მომჩივანის მეუღლის აგრესიული საქციელისგან საკუთარი თავის და მისი ქალიშვილის დახმარების და დაცვის თხოვნით მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებდა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს შორის თანამშრომლობას არა-სასმართლო ღონისძიებების გატარების პროცესში, რათა იდენტიფიცირებული ყოფილიყო ოჯახში ძალადობა და ქმედითი ღონისძიებები გატარებულიყო ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, და მიუხედავად სამედიცინო ცნობისა, რომელიც მომჩივანის ბრალდებების დამადასტურებელ *prima facie* მტკიცებულებას წარმოადგენდა, საქმის მასალები არ ადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ ყველანაირი ნაბიჯი გადაიდგა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

Valiulienė v. Lithuania

2013 წლის 26 მარტი 26

საქმე ეხება ქალბატონის საჩივარს, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი გახდა. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიება და მისი პარტნიორის პასუხისმგებლობაში მიცემა.
სასამართლომ კონვენციის **მე-3 მუხლის დარღვევა** დაადგინა (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა). მან მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული პრაქტიკა და ის, თუ როგორ ჩატარდა სისხლის სამართლის გამოძიება, არ აღმოჩნდა საკმარისი მომჩივანისთვის შესაბამისი დაცვის უზრუნველსაყოფად მისი ოჯახში ძალადობისგან დაცვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის გამოძიება გაჭიანურდა და პროკურორმა გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

D.P. v. Lithuania (no. 27920/08)

2013 წლის 22 ოქტომბერი (ამორიცხული გადაწყვეტილება)

მომჩივანი 1989 წელს დაქორწინდა და 2001 წელს წყვილმა ქორწინება გააუქმა. წყვილს ოთხი შვილი ყავდა (1988, 1990, 1992 და 2000 წლებში დაბადებულები). განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი ყოფილი მეუღლის წინააღდეგ, მომჩივანის და უფროსი შვილების მიმართ წინასწარგანზრახული და სისტემატური ცემის გამო, სისხლის სამართალწარმოება გაჭიანურდა და საქმე გონივრულ ვადაში არ განხილულა. შედეგად, იგი ამტკიცებდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა და მის ყოფილ მეუღლეს სასამართლოს მიერ სათანადო სასჯელი არ დაეკისრა.
მეგობრული მორიგების მცდელობის წარუმატებლობის შედეგად, ლიტვის მთავრობამ 2012 წლის სექტემბერში სასამართლოს წინადადებით მიმართა ცალმხრივი დეკლარაციით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აღიარების მიზნით იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფომ არ უზრუნველყო მომჩივანის დაცვა ოჯახში ძალადობისგან. პრეცედენტული სამართლის და წინამდებარე საქმის გარემოებების საფუძველზე, ხელისუფლებამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის, თუ როგორ იქნა გამოყენებული სისხლის სამართის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები მოცემულ საქმესთან მიმართებაში, არაეფექტური აღმოჩნდა, და სამართალწარმოების პროცესში დაშვებული ხარვეზები სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-3 მუხლით მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის ტოლფასია (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა). ხელისუფლების ცალმხრივი დეკლარაციისა და მასში მითითებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ საქმე მის მიერ განსახილველი საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

D.M.D. v. Romania (no. 23022/13)

2017 წლის 3 ოქტომბერი[1]
იხილეთ ქვევით, „სამართლიანი განხილვის უფლების“ ნაწილში.

დეპორტაციის შემთხვევაში ოჯახში ძალადობის შესაძლო რისკი

N. v. Sweden (no. 23505/09)

2010 წლის 20 ივლისი

მომჩივანი, ავღანეთის მოქალაქე, 2004 წელს მეუღლესთან ერთად შვედეთში ჩავიდა. მათი თავშესაფრის მოთხოვნა რამდენიმეჯერ უარყოფილი იყო. 2005 წელს მომჩივანი მეუღლესთან ქორწინება გააუქმა. 2008 წელს მომჩივანის მოთხოვნა ქორწინების გაუქმებასთან დაკავშირებით უარყოფილი იყო, რადგან მათ არ ჰქონდათ განქორწინების უფლება, ვინაიდან მომჩივანი ქვეყანაში არალეგალურად ცხოვრობდა. მომჩივანის მეუღლემ სასამართლო ამცნო, რომ განქორწინების წინააღმდეგი იყო. ამავდროულად, შვედეთის მიგრაციის კომიტეტში მომჩივანის მოთხოვნა მისი საქმის ხელახლა განხილვაზე და დეპორტაციის პროცესის შეჩერებაზე, წარუმატებელი აღმოჩნდა. მომჩივანის განცხადებით, ავღანეთში მას სიკვდილით დასჯის რისკი ემუქრებოდა, ვინაიდან მან შვედ კაცთან ურთიერთობა დაამყარა, რითაც მრუშობა ჩაიდინა და მისმა ოჯახმა იგი გარიყა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანის შვედეთიდან ავღანეთში დეპორტაციას შეიძლება გამოეწვია კონვენციის **მე-3 მუხლის დარღვევა** (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა). სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობდა იმის სავარაუდოდ, რომ ავღანეთში დეპორტაციის შემთხვევაში მომჩივანი მეუღლის, და საკუთარი და მისი მეუღლის ოჯახის და ავღანეთის საზოგადოების მხრიდან ერთობლივი საპასუხო მოქმედების რისკის წინაშე დგებოდა, რაც მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში ხვდება. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ ფაქტს, რომ მომჩივანს მეუღლესთან განქორწინება სურდა და მასთან ერთად ცხოვრების სურვილი არ გააჩნდა, შეეძლო სიცოცხლისათვის სერიოზული რისკი გამოეწვია. მართლაც, 2009 წლის შიიტის პირადი სტატუსის აქტის მიხედვით, ქალები ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებულიყვნენ მეუღლის სექსუალურ მოთხოვნებს და ნებართვის გარეშე არ გააჩნდათ სახლის დატოვების უფლება. არსებული ანგარიშები ადასტურებდა, რომ ავღანელი ქალების დაახლოებით 80% ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ და ხელისუფლების მიერ ასეთი ქმედებები კანონიერად იყო აღიარებული, და შესაბამისად, კანონი არანაირ დევნას არ ითვალისწინებდა. დაბოლოს, იმისათვის, რომ ქალბატონი პოლიციასა ან სასამართლოში მისულიყო, მას საზოგადოებრივი დევნა უნდა გადაელახა, რომელიც მამრობითი სქესის მეურვის თანხლების გარეშე სახლის დატოვების ფაქტს მოყვებოდა. სტატისტიკისა და საერთაშორისო ანგარიშებში მოხსენებული ზოგადი რისკი უყურადღებოდ არ უნდა დარჩენილიყო.

უფლება სამართლიან განხილვაზე (კონვენციის მე-6 მუხლი)

Wasiewska v. Poland

014 წლის 22 დეკემბერი (დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება)

1997 წელს მომჩივანი და მისი მეუღლე განქორწინდნენ. განქორწინებამდე, ყოფილმა მეუღლემ მომჩივანი სახლიდან გაგდო. ყოფილმა მეუღლემ საკეტები გამოცვალა და ხელს უშლიდა მომჩივანის სახლში შეღწევაში და იმ ნივთების გატანაში, რომლებიც მომჩივანს, მის ქალიშვილს და შვილიშვილს ეკუთვნოდა. მომჩივანი ჩივის, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საკუთარი განჩინების შესრულება მისი ყოფილი მეუღლის იმ ბინიდან გამოსახლებასთან დაკავშირებით, რომელიც მომჩივანის საკუთრებაში იმყოფება.

---

[1] ეს განჩინება საბოლოო ძალაში შევა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის 44-ე § 2 მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებში.

ასევე ის ჩიოდა, რომ მისთვის შეუძლებელი გახდა სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების მოთხოვნა მისი ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ, რომელიც მას საკუთარ ბინაში არ უშვებდა და მისი ნივთების გატანის საშუალებას არ აძლევდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის საჩივარი ხელისუფლების მხრიდან ყოფილი მეუღლის ბინიდან გამოსახლების ბრძანების აღუსრულებლობა კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში უნდა განხილულიყო (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივანმა ვერ მოახერხა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება, სასამართლომ კონვენციის 35-ე მუხლის მიხედვით საჩივარი **დაუშვებლად მიიჩნია.** სასამართლომ საჩივრის დანარჩენი ნაწილიც ასევე **დაუშვებლად მიიჩნია** (აშკარად დაუსაბუთებელი).

D.M.D. v. Romania (no. 23022/13)

2017 წლის 3 ოქტომბერი[2]

საქმე ეხებოდა მომჩივანის მიერ მამის წინააღმდეგ აღძრულ სამართალწარმოებას ოჯახში ძალადობის საგანზე. სამართალწარმოება რვა წლის განმავლობაში გრძელდებოდა და დასრულდა მამის შვილის მიმართ ფიზიკური და მორალური ძალადობის აღიარებით. განმცხადებელი ჩიოდა, რომ სამართალწარმოება არაეფექტური გამოდგა და მას ზიანისთვის კომპენსაცია არ მიუღია. ეროვნულმა სასამართლომ ბოლო ინსტანციაში დაადგინა, რომ მათ არ ევალებოდათ კომპენსაციის საკითხის შესწავლა, ვინაიდან არც მომჩივანს, და არც პროკურორს არ წაუყენებიათ მსგავსი მოთხოვნა ქვედა ინსტანციის სასამართლოს წინაშე.

სასამართლომ კონვენციის **მე-3 მუხლის დარღვევა** დაადგინა (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), ვინაიდან სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოძიება დროში ძალიან გაჭიანურდა, და გარდა ამისა დაშვებული იყო სხვა სერიოზული ხარვეზებიც. სასამართლომ განაცხადა, რომ მხარე სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ ბავშვების ღირსების დაცვას, და პრაქტიკაში ამისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებაა საჭირო, ბავშვების ოჯახში ძალადობისგან დასაცავად. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის 6 § 1 **მუხლის დარღვევა,** ვინაიდან ეროვნულმა სასამართლომ არ შეისწავლა განმცხადებლის საჩივრის არსებითი მხარე მისთვის კომპენსაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, იმის მიუხედავად, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში ნათლად არის განსაზღვრული, რომ მიღებული უნდა იყოს გადაწყვეტილება კომპენსაციის თაობაზე არასრულწლოვანის შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ დაზარალებული ამის თაობაზე ოფიციალურ მოთხოვნას არ წარადგენს.

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი)

ბავშვის ძალადობრივი გარემოსგან მოშორება და გაშვილება

Y.C. v. the United Kingdom (no. 4547/10)

2012 წლის 13 მარტი

მომჩივანს და მის პარტნიორს რამდენიმე წლის ურთიერთობა ჰქონდათ და მათ 2001 წელს ვაჟიშვილი შეეძინათ. 2003 წელს ოჯახი სოციალური სამსახურის ყურადღების ქვეშ მოიქცა მშობლებს შორის ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობის მიღების შედეგად მომხდარი ინციდენტის გამო. კერძოდ, ადგილი ჰქონდა ოჯახში ძალადობის და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების ფაქტებს, და მდგომარეობა 2007 წლიდან განსაკუთრებით გამწვავდა, რასაც მოყვა პოლიციის სახლში გამოძახების რამდენიმე შემთხვევა. 2008 წლის ივნისში ადგილობრივმა ხელისუფლებამ საგანგებო დამცავი ორდერი გასცა პარტნიორების ჩხუბის შედეგად ბიჭის დაშავების შემდეგ. ბავშვზე მზრუნველობის სამართალწარმოების შედეგად გაიცა ბიჭის გაშვილების ბრძანება. განმცხადებელი ჩიოდა, რომ სასამართლომ უარი განაცხადა მისი როგორც ერთადერთი მზრუნველის მდგომარეობის შეფასების ჩატარებაზე, და იმაზე, რომ სასამართლომ ვერ უზრუნველყო ყველა

[2] ეს განჩინება საბოლოო ძალაში შევა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის 44-ე § 2 მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებში.

სათანადო გარემოებების გათვალისწინება ბავშვის გაშვილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, რითაც მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.
სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის **მე-8 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია** (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება) იმ საფუძველზე, რომ ბავშვის გაშვილების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას საკმარისი მიზეზები ჰქონდა, და მომჩივანს ყველანაირი შესაძლებლობა მიეცა მისი საქმის წარმოსადგენად და იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სრულად იყო ჩართული. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის ისტორიის და არსებული ანგარიშების გათვალისწინებით, ეროვნული სასამართლოს მოსამართლის აზრით, მომჩივანის მამასთან ურთიერთობის განახლების მაღალი ალბათობა არსებობდა, რაც ბავშვის კეთილდღეობას რისკს უქმნიდა, და ეს ვარაუდი დაუსაბუთებელი არ ყოფილა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, კონტაქტის შენარჩუნება მომჩივანთან ან მისი მეუღლის ოჯახთან მიზანშეწონილი იყო, იმავდროულად ნათელი იყო, რომ მოცემულ შემთხვევაში, ბავშვის მშვიდ და უსაფრთხო გარემოში განვითარება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნათესაობრივი კავშირის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მცდელობები განხორციელდა ოჯახის შენარჩუნების მიზნით, რაც გულისხმობდა ოჯახისთვის დახმარების გაწევას ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებისგან თავის შეკავებაში, და ასევე წყვილისთვის მხარდაჭერის გაწევაში მშობლის მოვალეობების შესრულებაში. მომჩივანის განცხადებაზე რეაგირების სახით, რომ იგი ბავშვის მამას გაშორდა, მას მიეწოდა ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დახმარების სერვისების შესახებ, რომლის მიღების საშუალებაც მა ექნებოდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მომჩივანს არ მიუმართავს ზემოთ აღნიშნული დახმარებისთვის, და იგი საბოლოოდ შეურიგდა ბავშვის მამას.

სახელმწიფოს მიერ პირის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება

Bevacqua and S. v. Bulgaria

2008 წლის 12 ივნისი

პირველი განმცხადებელი, რომელიც ჩიოდა, რომ მისი მეუღლე მას რეგულარულად სცემდა, მათ საერთო შვილთან, სამი წლის ვაჟიშვილთან ერთად (მეორე მომჩივანი), მეუღლისგან წამოვიდა და განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. თუმცა, იგი აცხადებდა, რომ მეუღლე მის ცემას განაგრძობდა. მომჩივანმა ვაჟიშვილთან ერთად ქალების ძალადობისგან დაცვის თავშესაფარში ოთხი დღე გაატარა, თუმცა სავარაუდოდ, იგი გაფრთხილებული იქნა იმის შესახებ, რომ ბიჭის გატაცების გამო, იგი შეიძლება სამართლებრივ დევნაში აღმოჩენილიყო, და სასამართლოს შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება ბავშვზე ერთობლივი მეურვეობის შესახებ, რასაც მომჩივანის მტკიცებით, მისი მეუღლე არ დაეთანხმებოდა. სავარაუდოდ, იმან, რომ მომჩივანმა მეუღლეს ბრალი წაუყენა, შემდგომი ძალადობა გამოიწვია. მის მოთხოვნას დროებით მეურვეობაზე არ მიანიჭეს უპირატესობა და საბოლოოდ მას მეურვეობა მიენიჭა მხოლოდ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ, როცა ერთ წელზე მეტი იყო გასული. შემდეგ წელს, მომჩივანის ყოფილი მეუღლე კვლავ ძლიერ სცემდა მას, და მომჩივანის მოთხოვნა სისხლის სამართლებრივი დევნის წამოწყების თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველზე, რომ მოცემული საკითხი „კერძო დავას“ წარმოადგენდა და კერძო სამართლის შესაბამისად განხილვას გულისხმობდა.
სასამართლომ კონვენციის **მე-8 მუხლის დარღვევა** დაადგინა (ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) იმ კუმულაციური ზემოქმედების გამო, რაც გამოიწვია ეროვნული სასამართლოს მიერ დროებითი მეურვეობაზე უფლების მინიჭება შუალედური ზომის სახით, რამაც მომჩივნებზე უარყოფითი შედეგი იქონია და უპირველეს ყოვლისა, მეორე მომჩივანის კეთილდღეობაზე იმოქმედა, და გარდა ამისა, იგივე პერიოდში ხელისუფლების მიერ არასაკმარისი ზომები იქნა მიღებული პირველი მომჩივანის ყოფილი მეუღლის საქციელზე რეაგირების თვალსაზრისით. სასამართლოს აზრით, ამან გამოიწვია სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც მდგომარეობდა კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად მომჩივანების პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უზრუნველყოფას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ დავის „კერძო ხასიათის დავად“ მიჩნევა არ შეესაბამებოდა ხელისუფლების ვალდებულებას დაეცვა მომჩივანის ოჯახში ცხოვრება.

E.S. and Others v. Slovakia (no. 8227/04)

2009 წლის 15 სექტემბერი

იხილეთ ზემოთ, „წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის“ ნაწილში

A. v. Croatia (no. 55164/08)

2010 წლის 14 ოქტომბერი

მომჩივანის ამჟამად ყოფილი მეუღლე (პოსტტრამვული სტრესით გამოწვეული აშლილობის, პარანოიის, შფოთვითი სინდრომისა და ეპილეფსიის მქონე პირი) მომჩივანის მიმართ, სავარაუდოდ, ხშირად ჩადიოდა ფიზიკურ ძალადობას, რომლის შედეგადაც მომჩივანს სხეულის ფიზიკური დაზიანებები ჰქონდა, და იგი ასევე რამდენიმე წლის განმავლობაში მომჩივანს სიკვდილით ემუქრებოდა, და ასევე ხშირად აყენებდა შეურაცხყოფას მათი ქალიშვილის თვალწინ. მისი მიმალვის შემდეგ, მომჩივანმა სასამართლო ორდერის გაცემას ითხოვდა, რათა მისი ყოფილი მეუღლის მხრიდან ადევნებისა და შევიწროებისგან თავი დაეცვა, რაზეც მან უარი მიიღო, იმის საფუძველზე, რომ მომჩივანმა ვერ მოახერხა სასამართლოსთვის მისი სიცოცხლისთვის საფრთხის არსებობის დასაბუთება.

სასამართლომ კონვენციის **მე-8 მუხლის დარღვევა** დაადგინა (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), რადგან ხორვატიის სახელისუფლებო ორგანოებმა არ უზრუნველყვეს სასამართლოს მიერ დადგენილი შესაბამისი ზომების განხორციელება მომჩივანის დასაცავად, და არ განახორციელეს რაიმე ზომები მისი მეუღლის ფსიქიატრიული პრობლემების მოგვარებაში დახმარების გაწევის მიზნით, რაც როგორც ჩანს, მისი ძალადობრივი საქციელის ძირითად განმაპირობებელ მიზეზს წარმოადგენდა. ასევე გაურკვეველი იყო, ჩაუტარდა თუ არა მას რაიმე ფსიქიატრიული მკურნალობა. სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით დაუშვებელი იყო იმის საფუძველზე, რომ მას საკმარისი მტკიცებულება არ წარმოუდგენია (როგორიცაა ანგარიშის ან სტატისტიკური მონაცემები) იმის დასამტკიცებლად, რომ ხორვატიის ხელისუფლების მიერ დანერგილი ზომები ან პრაქტიკა, ან ამ ზომების ან პრაქტიკის შედეგები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციული იყო.

Hajduovà v. Slovakia

2010 წლის 30 ნოემბერი

განმცხადებელი ჩიოდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ შეასრულა კანონით დადგენილი ვალდებულება მის ყოფილი მეუღლის მიმართებაში, რათა იგი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დაეკავებინათ, მას შემდეგ რაც გი დამნაშავედ იქნა ცნობილი მომჩივანის მიმართ ძალადობასა და მუქარის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანის ყოფილი მეუღლის ქმედებებთან დაკავშირებით არასაკმარისი ზომები იქნა მიღებული, და რომ ეროვნულმა სასამართლომ არ უზრუნველყო მისი მსჯავრდების შემდეგ მიეღო დადგენილება მისი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებისა და მკურნალობის თაობაზე, რამაც გამოიწვია სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა, და შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანის მეუღლის მუქარა არ ყოფილა განხორციელებული, იგი ისეთ ზემოქმედებას ახდენდა მომჩივანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, რომელიც კონვენციის მე-8 მუხლითაა გათვალისწინებული.

Kalucza v. Hungary

2012 წლის 24 აპრილი

მიუხედავად მრავალი სამოქალაქო დავისა ბინის მესაკუთრეობასთან დაკავშირებით, მომჩივანი იძულებული იყო გაეზიარებინა თავისი ბინა თავის პარტნიორთან, რომელთანაც სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებოდა, და რომელიც ძალადობას იჩენდა მომჩივანის მიმართ. იგი ამტკიცებდა, რომ უნგრეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი სათანადო დაცვა მის სახლში მუდმივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისგან.

სასამართლომ დაასკვნა, რომ უნგრეთის ხელისუფლებამ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, რითაც კონვენციის **მე-8 მუხლი დაარღვია** (პირადი და ოჯახური

ცხოვრების პატივისცემის უფლება). სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმია, რომ მომჩივანმა სისხლის სამართლის საჩივარი აღძრა მისი პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის საგანზე, და გამუდმებით ითხოვდა თავისი პარტნიორის მიმართ შემაკავებელი ორდერის მიღებას, და წამოიწყო სამოქალაქო სამართალწარმოება ბინიდან გამოსახლებასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ არ გაატარა ქმედითი ზომები მისი ეფექტური დაცვის განსახორციელებლად.

Kowal v. Poland

2012 წლის 18 სექტემბერი (გადაწყვეტილება დასაშვებობაზე)

განმცხადებელი ჩიოდა, რომ პოლონეთის სახელმწიფომ ვერ შეძლო მომჩივანის, მისი უმცროსი ძმის და მათი დედის ოჯახში ძალადობისგან დაცვა და კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულება (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და არანაირი ზომა არ მიუღია სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რომ აეძულებინა მამამისი დაეტოვებინა ბინა. მომჩივანი ასევე აცხადებდა, რომ ამის შედეგად, იგი და მისი ოჯახი კვლავ ექვემდებარებოდნენ ძალადობას მიუხედავად სასამართლოს მიერ მიღებული ამკრძალველი ორდერისა, რომლის შესაბამისადაც მამამის ებრძანა ბინის დატოვება.

სასამართლომ საჩივარი **დაუშვებლად მიიჩნია** (აშკარად დაუსაბუთებელი), კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად. საქმის გარემოებიდან გამომდინარე, საკითხის მთლიანობაში განხილვისას, მან მიიჩნია, რომ არ შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების პასუხი მომჩივანის მამასთან მიმართებაში აშკარად დაუსაბუთებელი იყო, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე. ასევე არ შეიძლება ითქვას, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები არ ყოფილა შემდგომი დანაშაულის პრევენციული ან შემაკავებელი ეფექტის მქონე. ანალოგიურად, სასამართლოს არ მიუჩნევია, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო მომჩივანის მდგომარეობის და მამამისის მიერ ოჯახში ძალადობის სათანადოდ გათვალისწინება, და მდგომარეობის მთლიანობაში განხილვის შედეგად შესაბამისი პასუხის გაცემა, რასაც ადასტურებს მაგალითად, რამდენიმე სამართალწარმოება, რაც აღძრული იქნა ოჯახში ძალადობის ცალკეულ ეპიზოდებთან დაკავშირებით.

Irene Wilson v. the United Kingdom

2012 წლის 23 ოქტომბერი (გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ)

საქმე ეხება დაზარალებულის საჩივარს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისადაც მისი ქმრის წინააღმდეგ მისთვის სხეულის მძიმე დაზიანებების მიყენების გამო აღძრული სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში სასამართლომ დაკისრებული სასჯელის გადავადების თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება და მომჩივანის შესაბამისად, ეს სასჯელი ზედმეტად მსუბუქი იყო.

სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო (აშკარად დაუსაბუთებელი). კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩრდილო ირლანდიის ხელისუფლებამ შეასრულა მასზე კონვენციის მე-8 მუხლით დაკისრებული ვალდებულება და სათანადოდ დაიცვა მომჩივანის უფლებები (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანმა ხელისუფლებას მხოლოდ ერთი საჩივარი წარუდგინა: საქმე დაუყოვნებლივ იქნა გამოძიებული, მისი მეუღლე დააპატიმრეს და ბრალი წაუყენეს, და მომდევნო სისხლის სამართალწარმოება დაჩქარებული წესით ჩატარდა. მომჩივანს სასამართლოს წინაშე სხვა ბრალდება ძალადობასთან დაკავშირებით არ წაუყენებია.

Eremia and Others v. the Republic of Moldova

2013 წლის 28 მაისი

იხილეთ ქვევით, „დისკრიმინაციის აკრძალვის“ ნაწილში

დისკრიმინაციის აკრძალვა (კონვენციის მე-14 მუხლი)

Opuz v. Turkey

2009 წლის 9 ივნისი

განმცხადებელს და დედამისს წლების განმავლობაში მომჩივანის მეუღლე თავს ესხმებოდა და ემუქრებოდა, რის შედეგადაც, ხშირ შემთხვევაში, ორივე ქალი სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებას იღებდა. გარდა ერთი გამონაკლისით, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა, იმ საფუძველზე, რომ ორივე ქალმა გაიწვია სარჩელი, მიუხედავად მათი ახსნა-განმარტებისა იმის თაობაზე, რომ მომჩივანის მეუღლემ აიძულა ისინი გაეწვიათ საჩივრები და მათ მკვლელობით ემუქრებოდა. შემდგომში მომჩივანს თავისმა მეუღლემ შვიდი ჭრილობა მიაყენა დანით, და მას განაწილვადებით დაახლოებით 385 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა. ორივე ქალბატონმა რამდენიმე საჩივარი შეიტანა, მათი სიცოცხლისთვის საფრთხის არსებობის საგანზე. მომჩივანის მეუღლე დაკითხული და შემდეგ განთავისუფლებული იქნა. დაბოლოს, როდესაც ორმა ქალბატონმა მიმალვა სცადა, მეუღლემ სიდედრი სასიკვდილოდ დაჭრა, რაც იმით ახსნა, რომ მისი ღირსება შელახული იყო. იგი მკვლელობისთვის დამნაშავედ სცნეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა იგი გათავისუფლებული იქნა სააპელაციო წარმოების მსვლელობის დროს, რის შედეგადაც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი მეუღლე კვლავ ემუქრებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანის დედის მკვლელობასთან დაკავშირებით კონვენციის **მე-2 მუხლის დარღვევას ჰქონდა ადგილი** (სიცოცხლის უფლება) და სახელმწიფოს მიერ მომჩივანის სიცოცხლის დაუცველობის გამო ასევე დადგინდა კონვენციის **მე-3 მუხლის დარღვევა** (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა). სასამართლომ მიიჩნია, რომ თურქეთმა ვერ მოახერხა ოჯახში ძალადობის დასჯისა და დაზარალებულთა დაცვის ქმედითი სისტემის დანერგვა. ხელისუფლებამ არც კი გამოიყენა მის ხელთ არსებული დამცავი ზომები და შეწყვიტა სამართალწარმოება, იმ საფუძველზე, რომ ეს "ოჯახის საქმეა" და არ გაითვალისწინა ის ვითარება, თუ რატომ იქნა სარჩელები გაწვეული. სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა სისხლის სამართალის ჩარჩო, რომელიც გაითვალისწინებდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრას იმისდა მიუხედავად, საჩივარი გაწვეული იქნა თუ არა.
სასამართლომ ამ საქმეში პირველად დაადგინა ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში, რომ ასევე დაირღვა კონვენციის **მე-14 მუხლი** (დისკრიმინაციის აკრძალვა), ერთობლიობაში მე-2 და მე-3 მუხლებთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის შედეგად ძირითადად ქალები ზარალდებიან, თუმცა თურქეთის სასამართლოების ზოგადი და დისკრიმინაციული პასიურობა ასეთი ძალადობრივი გარემოს ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა. მომჩივანის და დედამისის მიმართ განხორციელებული ძალადობა შეიძლება მიჩნეული იქნას როგორც გენდერული ნიშნით ჩადენილი და დისკრიმინაციული ხასიათის ძალადობა ქალების მიმართ. თურქეთის სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში ჩატარებული რეფორმების მიუხედავად, სასამრთლო სისტემის საერთო უპასუხისმგებლობა და მოძალადეების დაუსჯელობა, როგორც მომჩივანის შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სათანადო ზომების გატარების ვალდებულებების შეუსრულებლობაზე მიუთითებს.

A. v. Croatia (no. 55164/08)

2010 წლის 14 ოქტომბერი

იხილეთ ზემოთ, „პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების" ნაწილში

Eremia and Others v. the Republic of Moldova

2013 წლის 28 მაისი

პირველი განმცხადებელი და მისი ორი ქალიშვილი ჩიოდნენ, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ არ უზრუნველყო მათი მეუღლის და მამის, პროფესიით პოლიციელის მიერ მათ მიმართ ჩადენილი ძალადობისგან დაცვა.
პირველ მომჩივანთან მიმართებაში სასამართლომ კონვენციის **მე-3 მუხლის დარღვევა** დაადგინა (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), რადგან მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო ძალადობის ფაქტების არსებობის შესახებ, მან ვერ შეძლო სათანადო ღონისძიებების განხორციელება მომჩივანის მეუღლის წინააღმდეგ და მომჩივანის ოჯახში ძალადობისგან დასაცავად. მომჩივანის ქალიშვილებთან მიმართებაში სასამართლომ დაადგინა კონვენციის **მე-8 მუხლის დარღვევა** (პირადი და ოჯახში ცხოვრების პატივისცემის უფლება), რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილების თანდასწრებით მათი მამის მხრიდან მათი დედის მიმართ ძალადობრივი

ქმედებების ჩადენით გამოწვეული მძიმე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა, ხელისუფლებამ პრაქტიკულად არანაირი ზომები არ გაატარა მსგავსი ქცევის განმეორების აღსაკვეთად. დაბოლოს, მომჩივანის მიმართებაში, სასამართლომ კონვენციის **მე-14 მუხლის დარღვევა** დაადგინა (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში მე-3 მუხლთან, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ არა მხოლოდ ვერ შეძლო, ან დააყოვნა მომჩივანის წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრა, რითაც ხელი შეუწყო ამგვარი ძალადობის არაერთგზის განმეორებას, ხელისუფლებამ ასევე დისკრიმინაციული დამოკიდებულება გამოავლინა პირველი მომჩივანის, როგორც ქალის, მიმართ. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ხაზი გაუსვა რომ ქალების მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებლის მიერ იდენტიფიცირებული მდგომარეობა და გაკეთებული დასკვნები ასევე ადასტურებდნენ, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა ოჯახში ძალადობის პრობლემის სერიოზულობა და მნიშვნელობა, და ქალებზე მისი დისკრიმინაციული ზეგავლენა.

ასევე იხილეთ: B. v. the Republic of Moldova (no. 61382/09) და Mudric v. the Republic of Moldova, 2013 წლის 16 ივლისის განჩინებები; N.A. v. the Republic of Moldova (no. 13424/06), 2013 წლის 24 სექტემბრის განჩინება; T.M. and C.M. v. the Republic of Moldova, 2014 წლის 28 იანვრის განჩინება.

Rumor v. Italy

2014 წლის 27 მაისი

განმცხადებელი ჩიოდა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი დაცვა 2008 წლის ნოემბერში მის მიმართ ჩადენილი მძიმე ოჯახში ძალადობისგან, არ გაუწია მას სათანადო მხარდაჭერა, და არ დაიცვა იგი შემდგომი ძალადობისგან. კერძოდ, განმცხადებელის მტკიცებით, მის ყოფილ პარტნიორს არ დაეკისრა ფსიქოლოგიური მკურნალობის გავლა და იგი მისთვის და მისი შვილებისთვის კვლავ საფრთხეს წარმადგენდა. გარდა ამისა, იგი ასევე აცხადებდა, რომ მიმღები ცენტრი, რომელიც მისი შინაპატიმრობისთვის იყო არჩეული, მომჩივანის სახლიდან 15 კმ მოშორებით მდებარეობდა, არაადექვატური აღმოჩნდა, ვინაიდან მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იგი ორჯერ იქნა დაშინებული მიმღები ცენტრის თანამშრომლების მიერ, რითაც მათ სასამართლო ორდერი დაარღვიეს, რომელიც მის ყოფილ პარტნიორთან რაიმე კონტაქტს კრძალავდა. დაბოლოს, მომჩივანის მტკიცებით, ეს ხარვეზები გამოწვეული იყო იტალიის ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს არაადეკვატურობით, რამაც მისი, როგორც ქალის, დისკრიმინაცია გამოიწვია.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ცალკე (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) ან მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (დისკრიმინაციის აკრძალვა) ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის ხელისუფლებამ მიიღო სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მას ოჯახში ძალადობაში ბრალდებულ პირთა წინააღმდეგ ქმედითი ზომების გატარების საშუალებას იძლეოდა, და ეს სამართლებრივი ჩარჩო ეფექტური გამოდგა მომჩივანის მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის მისი პარტნიორის დასასჯელად და ძალადობრივი დანაშაულის განმეორების აღსაკვეთად, და შესაბამისად, მისი ფიზიკური ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად.

M.G. v. Turkey (no. 646/10)

2016 წლის 22 მარტი

საქმე ეხება მომჩივანის ქორწინებაში მომხდარ ოჯახურ ძალადობას, განქორწინების შემდეგ მის მიმართ განხორციელებულ მუქარას და შემდგომ სამართალწარმოებას. მომჩივანი ქვეყნის ხელისუფლებას ბრალს დებდა იმაში, რომ მან ვერ უზრუნველყო მის მიმართ განხორციელებულ ძალადობის აღკვეთა. იგი ასევე ჩიოდა თურქი ქალების მიმართ მუდმივი ძალადობის და სისტემატური დისკრიმინაციის თაობაზე.

სასამართლომ კონვენციის **მე-3 მუხლის დარღვევა** დაადგინა (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), იმ საფუძველზე, რომ ის, თუ როგორ ჩაატარა თურქეთის ხელისუფლებამ სისხლის სამართალწარმოება, არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ პასიური დამოკიდებულება გამოავლინა საქმესთან დაკავშირებით, რადგან სისხლის სამართალწარმოება მომჩივანის მეუღლის

წინააღმდეგ საჩივრის შეტანიდან ხუთნახევარი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, და ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ამ ვითარებაში, სასამართლომ კონვენციის ასევე **მე-14 მუხლის დარღვევა** დაადგინა (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში მე-3 მუხლთან დაკავშირებით იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ განქორწინების შემდეგ (2007 წლის 24 სექტემბრიდან) და 2012 წლის 20 მარტს ახალი კანონის ძალაში შესვლამდე (N.6284), მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არ უზრუნველყოფდა განქორწინებული მომჩივანის დაცვის ზომებით სარგებლობის შესაძლებლობას, და სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოში მიმართვიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მომჩივანი იძულებული იყო შიშის ქვეშ ეცხოვრა მისი ყოფილი მეუღლის ძალადობრივი ქმედებების გამო.

Halime **Kılıç** v. Turkey

2016 წლის 28 ივნისი

საქმე ეხება მომჩივანის ქალიშვილის გარდაცვალებას, რომელიც მომჩივანის მეუღლის მიერ იქნა მოკლული, მიუხედავად შეტანილი ოთხი საჩივრისა, სამი დამცავი ორდერის მიღებისა და სასამართლო აკრძალვისა.

სასამართლომ კონვენციის **მე-14 მუხლის** (დისკრიმინაციის აკრძალვა) **დარღვევა** დაადგინა. ერთობლიობაში **მე-2 მუხლთან** (სიცოცხლის უფლება), და სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ დონეზე განხორციელებულმა სამართალწარმოებამ ვერ შეძლო კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნების შესრულება მომჩივანის ქალიშვილის დაცვის თვალსაზრისით. მომჩივანის მეუღლის წინააღმდეგ გაცემული ორდერების შეუსრულებლობის გამო მისი დაუსჯელად დატოვების შედეგად, ეროვნულმა ხელისუფლებამ ამ ორდერების ეფექტიანობა გააბათილა, და მისი დაუსჯელობის განცდას და მომჩივანის მიმართ ძალადობრივი ქმედებების განხორციელებას შეუწყო ხელი, ისე, რომ დამნაშავე არ იქნა პასუხისმგებაში მიცემული. სასამართლომ ასევე მიუღებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მომჩივანის ქალიშვილი მისი მოძალადე მეუღლის პირისპირ ყოველგვარი რესურსების და დაცვის გარეშე დარჩა, და გარდა ამისა, იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არ გაატარა რაიმე ზომები ძალადობის განმეორებით აქტებსა და დაზარალებულის მიმართ სიკვდილით მუქარებთან დაკავშირებით, ისთვის ხელის შეშლით, ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც ოჯახში ძალადობას უწყობდა ხელს.

Talpis v. Italy

2017 წლის 2 მარტი

იხილეთ ზემოთ, სიცოცხლის უფლების ნაწილში

Bălşan v. Romania

2017 წლის 23 მაისი

მომჩივანის განცხადებით, ხელისუფლებამ ვერ შეძლო მისი დაცვა განმეორებითი ოჯახში ძალადობისგან და მისი ქმრის პასუხისმგებლობაში გადაცემა, მიუხედავად მისი არაერთგზის წარდგენილი საჩივრებისა. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების მხრიდან ამ ძალადობრივი აქტებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო, იგი თავს დამცირებულად და უმწეოდ გრძნობდა.

სასამართლომ კონვენციის **მე-3 მუხლის დარღვევა** დაადგინა (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არ უზრუნველყო მომჩივანის ადეკვატური დაცვა მისი მეუღლისგან, და ასევე დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში მე-3 მუხლთან, გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი მეუღლის მხრიდან ძალადობას ექვემდებარებოდა, და ხელისუფლებისთვის ეს ფაქტი ცნობილი უნდა ყოფილიყო, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს ხშირად მოუმართავს დახმარებისთვის როგორც პოლიციისთვის, ასევე სასამართლოსთვის. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთს გააჩნია სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში საჩივრის წარდგენის და ხელისუფლებისგან დაცვის მოთხოვნის საშუალებას იძლევა, რაც სრულად იქნა გამოყენებული მომჩივანის მიერ, ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადო სამართლებრივი ზომების გატარება.

ხელისუფლების აღიარებით, მომჩივანმა ოჯახში ძალადობის პროვოცირება მოახდინა და ხელისუფლებამ არ მიიჩნია სიტუაცია საკმარისად სერიოზულად იმისთვის, რომ დაედგინა, რომ მოცემული დანაშაული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფარგლებში ექცევა. ასეთი მიდგომა აზრს უკარგავდა ეროვნული სამართლებრივ ჩარჩოს მიზანს, და არ შეესაბამებოდა

საერთაშორისო სტანდარტებს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში ხელისუფლების პასიურობა განპირობებული იყო დისკრიმინაციული დამოკიდებულებით განმცხადებლის, როგორც ქალის მიმართ, და გამოამჟღავნა, რომ რუმინეთში არ არსებობდა საკმარისი ნება იმისთვის, რომ ზოგადად ოჯახში ძალადობის პრობლემასთან მიმართებაში ქმედითი ზომები გატარებულიყო.

მიმდინარე საჩივრები

Munteanu v. Republic of Moldova (no. 34168/11)

საჩივარი უკავშირდება მოლდოვეთის სახელმწიფოს, 2012 წლის 3 იანვარი

იხილეთ ზემოთ, „არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის“ ნაწილში

Tkhelidze v. Georgia (no. 33056/17)

საჩივარი უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოს, 2017 წლის 23 ივნისი

იხილეთ ზემოთ, „სიცოცხლის უფლების“ ნაწილში

დამატებითი კითხვისთვის

ასევე იხილეთ ევროპის საკონსულოს ვებგვერდი "ქმედებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ".

მედია კონტაქტი:
Tel.: + 33 (0)3 90 21 42 08